


ზემო დარსზე პირველი დოგისტიკური ტერმინალი ექსპრუატაციაში შევიდა



ზემო დარსზე პირველი დოგისტიკური ტერმინალი ექსპრუატაციაში შევიდა. როგორც ცნობილია, ბრიტანური კომპანია Murphy Shipping -ის ქართული წარმომადგენლობა Murphy Holding-ის პირველი პროექტი

საქართველოში ყაზბეგში იქნება და მას კომპანია Murphy Kazbegi-ი ახორციელებს.

კომპანია დარსზე ტერმინალის მშენებლობაზე 30-40 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას ახორციელებს. ჯამში კი, საქართველოში ანადოგიური ტერმინალების მშენებლობაში 560 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია იქნება განხორციელებული.

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას კომპანიის დირექტორი ანარ ადიევი აღნიშნავს, ცენტრი სანყის ეტაპზე სატესტო რეჟიმში, მაისიდან მუშაობდა, სრული დატვირთვით კი ერთი კვირაა მუშაობს.

პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე ტიპის დოგისტიკური ტერმინალის მშენებლობას, რომელიც მომხმარებლებს სრულ საბაჟო მომსახურებას, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ტირპარკს, დაბორატორიებს, სპეციალიზირებულ სანყობებს, საოფისე სივრცეს, დაზღვევას, სასტუმროს, ავტო სერვისს, ავტომობილების სამრეცხაოს და სხავ დამატებით მომსახურებებს შესთავაზებს.

ადიევის ინფორმაციით, ამ დროისთვის პროექტი დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ სასტუმროს მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში გაიხსნება. მისი განცხადებით, ლოგისტიკურ ტერმინალში დიდი ავტომანქანების გაჩერების საფასური 24 საათში 30 ლარს შეადგენს. ადიევი აცხადებს, რომ ამ დროისთვის უფასოა მსუბუქი ავტომობილების გაჩერება.

კითხვაზე, როდის ამოიღებს კომპანია განხორციელებულ ინვესტიციას და სავარაუდოდ, როდისთვის გავა მოგებაზე, ადიევი ვარაუდობს, რომ ტერმინალი მომგებიანი 5-10 წლის შემდეგ იქნება.

სამშენებლო სამუშაოები 2016 წელს დაიწყო, მათ შორის, ხიდის მშენებლობა, გზის გაფართოება, სასტუმროს მშენებლობა, საბაჟოს სკანერის სამართავი პურტისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. ადიევის განცხადებით, სამომავლოდ სურ მცირე 12 ლკაციაზე მსგავსი ტიპის ტერმინალების მოწყობა იგეგმება. მათ შორის იქნება, წითელ ხიდი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

commerciant.ge/